

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

ნაშრომი წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნინო ბულაძე

**ქვემო კალას ერთი ურბანული მონაკვეთის კვლევა და
რესტავრაცია–რეკონსტრუქციის ანალიზი
(რეზიუმე)**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია მანია
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
თსსა ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2024

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური
მხარდაჭერით [DP2016/9, კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა]

თბილისის სრულიად უნიკალური სახის მქონე ქალაქია, რომლის განსაკუთრებულ სივრცით-არქიტექტურულ გამორჩეულობას და მხატვრულ სახეს განაპირობებს როგორც ლანდშაფტი, ასევე საუკუნეების განმავლობაში ამ ლანდშაფტს ორგანულად მორგებული ურბანული მემკვიდრეობა.

წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულია თბილისის უძველესი ისტორიული უბნის ქვემო კალას ერთი მიკროუბანი, რომელიც გ. აბესაძის, საიათნოვას, გრიგოლ ხანძთელის, აბოვიანის და აბო თბილელის ქუჩებს შორის მოქცეულ მონაკვეთს მოიცავს. აქ დაცული სახლების უმეტესობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია.

ნაშრომში აღწერილი და შეფასებულია ამ მიკროუბნის ყველა ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობა, ჩატარებულია მათი მხატვრულ-სტილისტური ანალიზი, განსაზღვრულია ამ შენობების და თავად მიკროუბნის ისტორიული და მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება. ნაშრომის დიდი მონაკვეთი ეთმობა ამ უბნის ქვეს სახლზე 2020–2023 წლებში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების კრიტიკულ ანალიზს, რეაბილიტაციის პროცესში გამოვლენილი სხვადასხვა სახის პრობლემების, ხარვეზების იდენტიფიკაციას (მათ შორის მობინადრეთა გამოკითხვის შედეგად), მათზე მსჯელობასა და განხილვას. სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების შედეგები მრავალი ასპექტითაა გაანალიზებული, რის შედეგადაც შემუშავებულია სხვადასხვა სახის არა ერთი რეკომენდაცია, რომლებიც მომავალში თბილისური საცხოვრებლის რესტავრაციის სპეციფიკური მეთოდოლოგიის შემუშავებასა და ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

კვლევის მიზანი

თვალსაზრისით ჩვენი მიზანი იყო ამ უბნის არეალში მოქცეული სახლების სხვადასხვა ასპექტით შესწავლა, სხვადასხვა სახის პრობლემების იდენტიფიკაცია და ამ საკითხების შეჯერების შედეგად გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება სამომავლო სარესტავრაციო სამუშაოებისათვის. მაგრამ ისე მოხდა, რომ 2020 წლის აპრილში ჩვენი მიკროუბნის რამდენიმე სახლზე დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები, რამაც ახალი ამოცანების წინაშე დაგვადგინა. ჩვენ თითოეული ამ სახლის რეაბილიტაციის პროცესს ვადევნებდით თვალს და შედეგად ჩატარებული სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ანალიზი დადგა დღის წესრიგში. რესტავრაციის პროცესზე დაკვირვება და საბოლოო შედეგის გაანალიზება ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ჩამოყალიბდა.

მნიშვნელოვანია, რომ კვლევის პირველ ეტაპზე, რესტავრაციის დაწყებამდე ჩვენ მოვასწარით საკვლევი უბნის თითქმის ყველა სახლის ფოტოფიქსაცია, მათი აღწერა, ფიზიკური მდგომარეობის დაფიქსირება და შეფასება, რაც ვფიქრობთ, რომ უკვე რესტავრირებული სახლების შემთხვევაში გარკვეულ დოკუმენტად იქცა.

კვლევის მეორე ეტაპზე მკაფიოდ გამოიკვეთა ნაშრომის მიზანი: საკვლევ უბანში ჩატარებული რესტავრაციის შედეგების გაანალიზება და მათი განხილვა როგორც საერთაშორისო პრაქტიკის კრილში, ასევე, საერთაშორისო ქარტიებთან და

დოქტრინებთან მიმართებით. გარდა ამისა, ჩვენი მიზანი იყო ამ უზნის მობინადრეთა გამოკითხვის შედეგად ჩაგვეტარებინა სოციოლოგიური კვლევა და გაგვერკვია მობინადრეთა სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულობის ხარისხი; საბოლოოდ კი კვლევით სამუშაოთა მთელი კომპლექსის ჩატარების საფუძველზე გამოგვეტანა გარკვეული დასკვნები და შეგვემუშავებინა რეკომენდაციები.

საკვლევი თემის აქტუალობა და სიახლე

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემას საქართველოში, ერთი მხრივ, საკმაოდ დიდი ისტორია და ძლიერი საფუძველი აქვს XX საუკუნის ქართული სარესტავრაციო სკოლის სახით, მაგრამ, მეორე მხრივ, არქიტექტურის რესტავრაციის დარგი, იქნება ეს ქალაქგეგმარება, ძველი ქალაქების უზნებისა თუ საეკლესიო და საერო ნაგებობების რესტავრაცია, დღეს საქართველოში უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. საქმე ისაა, რომ რესტავრაცია (მათ შორის არქიტექტურის რესტავრაცია) სწრაფად განვითარებადი დარგია, რომელიც უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მრავალ ახალ მიდგომას შეიმუშავებს. რამდენად შევძელით რომ მხარი აგვება ამ დარგში მიმდინარე პროცესებისათვის და მისი განვითარების პროცესში შემუშავებული უახლესი ტენდენციებისათვის?

განაშენიანებული ისტორიული გარემოს განვითარება ბუნებრივი დინამიკური პროცესია, რომელსაც მართვა ჭირდება, რათა არ დაირღვეს მისი ავთენტურობა. შესაბამისად, მართვის პროცესი მოითხოვს სისტემურ მიდგომას, რაც საკითხების კომპლექსურად გადაჭრას გულისხმობს. ამისათვის კი ისტორიული ქალაქების რესტავრაცია-კონსერვაცია აუცილებლად საჭიროებს სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების მონაწილეობას და რა თქმა უნდა, როგორც ამას არა ერთი საერთაშორისო დოკუმენტი განსაზღვრავს, ამ პროცესებში ადგილობრივი თემების ჩართულობაც აუცილებელია. საბოლოო ჯამში კი ეს ყოველივე ძველი უზნების მდგრად განვითარებასა და მათი ავთენტურობის შენარჩუნებას უნდა ემსახუროდეს.

წინამდებარე ნაშრომში, კალას ერთი უზნის რეაბილიტაციის ანალიზის საფუძველზე, სწორედ ამ საკითხების გარკვევის მცდელობაა. მთავარი გამოწვევა ისაა, რომ ჩვენ ადგილობრივ დონეზე არ გვაქვს შემუშავებული ჩვენს სპეციფიკასა და კულტურულ თავისებურებებზე მორგებული კონკრეტული სტანდარტები, რომლებითაც პროფესიულ საზოგადოებას ხელმძღვანელობის ვალდებულება ექნება. ამგვარი კონკრეტული სტანდარტების შემუშავების აუცილებლობას **ნარას დოკუმენტი** (1994) განსაზღვრავს, რომლის მე-11 მუხლი გულისხმობს, რომ წინასწარ შემუშავებული ავთენტურობის კრიტერიუმები სხვადასხვა კულტურის შემთხვევაში განსხვავებული შეიძლება იყოს, კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირი რეფერირება არ ხდება ამ დოკუმენტზე, მისი გათვალისწინება, ვფიქრობთ, აუცილებელია. ავთენტურობის მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით, ადგილობრივ დონეზე უნდა შეიქმნას შესაბამისი კრიტერიუმები, რომელთა დაცვა აუცილებელი

იქნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაციის შემთხვევაში. ცხადია, ეს მუშაობას და, შესაბამისად, დროს მოითხოვს. ნაბიჯების გადადგმა კი დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. ჩვენი ნაშრომის აქტუალობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მიკროუბნის სარესტავრაციო სამუშაოების გაანალიზების შედეგად, თბილისის კულტურული მემკვიდრეობის თავისებურებებისა და კულტურული კონტესტის გათვალისწინებით შემუშავებული რეკომენდაციები გარკვეულ საფუძველს შექმნის ქალაქის ძველი უბნების რეაბილიტაციის ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპებისა და კრიტერიუმების ჩამოსაყალიბებლად, რაც საბოლოოდ თბილისის ავთენტური სახის შენარჩუნების საწინდარი იქნება.

ლიტერატურის მიმოხილვა

ჩვენი საკვლევი უბანი და მასში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დღემდე საგანგებო კვლევის საგანი არ გამხდარა. ამდენად, უშუალოდ მათ შესახებ კვლევითი ნაშრომები არ არსებობს. თუმცა, ჩვენ ნაშრომში დასმული პრობლემების გადასაჭრელად და სხვადასხვა ტიპის საკითხებში გასარკვევად სხვადასხვა სახის ლიტერატურის დამუშავება მოგვიწია:

1. უპირველესად ეს გახლდათ თბილისის ისტორიასთან, მის განვითარებასთან დაკავშირებული წყაროები, თბილისის არქიტექტურის შესახებ ფუნდამენტური ხასიათის ნაშრომები. ასევე, დავამუშავეთ ნაშრომები, რომლებიც ძველი თბილისის კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტს ეხებოდა.
2. მეორე ტიპის ლიტერატურა, რომელიც ჩვენ დავამუშავეთ, მოიცავდა რესტავრაციის საერთაშორისო პრაქტიკასთან დაკავშირებულ ნაშრომებსა და სტატიებს. აქ თავი მოიყარა ისეთმა ნაშრომებმა, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის (იორკი¹, დუბროვნიკი², დუბლინი³, ედინბურგი⁴, ვილნიუსი⁵, ფეზ-მედინა (მაროკო)⁶ და სხვ.)

¹ York. A Study in Conservation. Report to the Minister of Housing and Local Government and York City Council by Viscount Esher, MA. D Litt. PPRIBA, Fila. Dist TP. London. Her Majesty's Stationary office, 1968.

² Svetislav Vučenović. Methods of Surveying Dubrovnik's Architectural Heritage. ICOMOS Scientific Journal, 3. 1994. pp. 113-128. ISSN (ISBN) 955-613-054-3 [Article].
https://openarchive.icomos.org/id/eprint/2857/1/ICOMOS_Sc_J_v3_p113-128_Vucenovic.pdf

³ Belmont Avenue/Mount Eden Road & Environs. Architectural Conservation Area Report.
<https://www.dublincity.ie/sites/default/files/2021-02/belmont-ave-mount-eden-rd-extension-2015-revised-adopted-110116.pdf>

⁴McMillan A., Hyslop E. *The city of Edinburgh - Landscape and Stone*. In: 16th ICOMOS General Assembly and International Symposium: "Finding the spirit of place – between the tangible and the intangible", 29 sept. – 4 oct., 2008, Quebec, Canada. [Conference or Workshop Item].

⁵ Rutkauskas G.. The Regeneration of the Historic City Centre in Vilnius.
https://home.cyf-kr.edu.pl/~ncbratas/pdf/full_rutkauskas.pdf

⁶ Radoine H. Urban Conservation of Fez-Medina: A Post-Impact Appraisal, wol.4, issue 1, 2008.
<https://www.globalurban.org/GUDMag08Vol4Iss1/Radoine.htm>

ურბანული მონაკვეთების თუ ცალკეული ნაგებობების რესტავრაციის პრობლემებს და მათთან დაკავშირებულ გამოცდილებას ეხებოდა.

3. გარდა ამისა, ჩვენ გავეცანით რესტავრაციის სახელმძღვანელოებს, საერთაშორისო და ადგილობრივ მარეგულირებელ დოკუმენტებს (კანონებს, ქარტიებს, კონვენციებს და სხვ.), ICOMOS-ის მასალებს, რათა კონსერვაცია-რესტავრაციის უახლესი მიდგომების ჭრილში განგვეხილა ჩვენი უზნის რესტავრაციის შედეგები და მათთან მიმართებით ჩამოგვეყალიბებინა რეკომენდაციები.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომის სტრუქტურა საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარეა აგებული. ძირითადი თემებისა და საკითხების გათვალისწინებით ნაშრომი დაყოფილია ცალკეულ თავებად და ქვეთავებად. ტექსტს გასდევს სქოლიოები და ერთვის გამოყენებული ლეტერატურის სია, ფოტოებისა და სქემების ნუსხა, ასევე დანართი საკვლევი უზნის მოზინადრეთა მიერ შევსებული კითხვარების სახით. ნაშრომის ერთ-ერთი ნაწილია ილუსტრაციები.

თავი I. თბილისის ისტორია და განვითარება

ეს თავი შეეხება თბილისის ისტორიასა და მისი არქიტექტურული მემკვიდრეობის ისტორიულ ჭრილში წარმოჩენას. თავი რამდენიმე ქვეთავისაგან შედგება, რომლებშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა განხილული თბილისის განვითარების ეტაპები. ამ თავში ასევე შედის თბილისის ერთ-ერთი უძველესი უზნის კალას განვითარების ისტორიაც.

თავი II. ქვემო კალას შერჩეული ურბანული მონაკვეთის თითოეული სახლის ფიზიკური მდგომარეობის აღწერა და მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების შეფასება რეაბილიტაციამდე

ამ თავში საუბარია ჩვენი საკვლევი უზნის გეგმარების ხასიათზე, მის კონფიგურაციაზე თბილისის სხვადასხვა დროის რუკების მიხედვით. შემდგომ ამას მოსდევს საკვლევ უბანში მდებარე სახლების აღწერა, მათი ფიზიკური მდგომარეობის შეფასება, დაზიანებათა დაფიქსირება. აღწერილია სახლების ფასადები, ეზოები, ცალკეული არქიტექტურული დეტალები; ნაშრომის ამ ნაწილში თავმოყრილმა მასალამ და დეტალურმა აღწერამ კარგი სამსახური გაგვიწია შემდგომში აღდგენილი სახლების გაანალიზებისას, საშუალება მოგვცა შეგვედარებინა რესტავრაციამდელი მასალისათვის და თვალნათლივ დაგვენახა ის ცვლილებები, რომლებიც რესტავრაციის შედეგად განხორციელდა.

თავი III. ქვემო კალას შერჩეული ურბანული მონაკვეთის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი

ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია საკვლევი ურბანული მონაკვეთის მხატვრულ-სტილისტური ნიშნები და თავისებურებები: ქუჩების გეგმარება, სახლების მასშტაბი, ფასადები, არქიტექტურული დეტალები, ეზოების ტიპები, მათი მხატვრული

ღირებულება და როლი ქუჩების მხატვრული სახის შექმნაში. აქ ასევე განხილულია ძველი თბილისის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი სხვა ელემენტები: ხისა თუ რკინის კიბეები, აივნები, სადარბაზოები და სხვ.

თავი IV. საკვლევ უბანსა და მის შემოგარენში ჩატარებული მოსახლეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი

ამ თავში განსაზღვრულია სოციოლოგიური გამოკითხვის მიზანი და მეთოდები, განხილულია კითხვარების შედგენის მეთოდოლოგია. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კითხვარით გამოკითხა როგორც რესტავრირებული სახლების მობინადრეები, ისე – არარესტავრირებულისაც და მათი პასუხები ცალ–ცალკე დამუშავდა, რის შედეგად გამოვლინდა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც აწუხებდათ და ახლაც აწუხებთ მობინადრეებს. ამის საფუძველზეც შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

თავი V. რესტავრირებული სახლების აღწერა და ანალიზი

ნაშრომის ამ თავში დეტალურადაა აღწერილი და გაანალიზებული რესტავრაციის შედეგები. ჩვენ თითოეული რესტავრირებული სახლი (ასეთი სულ ექვსი იყო) დეტალურად გავაანალიზეთ, მათი ახლანდელი მდგომარეობა და სახე და შევადარეთ რესტავრაციამდელს, გამოვავლინეთ ცვლილებები და ხარვეზები;

თავი VI. საკვლევ უბნის რესტავრაცია ავთენტურობის ცნების კონტექსტში

ამ თავში დასმულია საკითხი, თუ რამდენად მოხდა ჩვენს საკვლევ უბანში ჩატარებული რესტავრაციის შედეგად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და მთლიანად მიკროუბნის ავთენტურობის შენარჩუნება. ამ საკითხების გასარკვევად მიკროუბანი განხილულ იქნა ძეგლის ავთენტურობის საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული პარამეტრების მიხედვით: ჩარევის სტრატეგიები და მეთოდები და მათი რელევანტურობის საკითხი, სარესტავრაციო მასალები, სახლების მხატვრული სახისა და მთლიანად გარემოს ტრანსფორმაციის საკითხები, არამატერიალური ელემენტები, კულტურული კონტექსტი, „ადგილის სულის“ შენარჩუნების პრობლემები და სხვ.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია მთელი კვლევის შეჯამება, დასკვნები და რეკომენდაციები.

უმთავრესი საკითხი, რომელიც ჩვენს საკვლევ უბანში რესტავრირებულ სახლებთან დაკავშირებით წარმოშვა, ავთენტურობის შენარჩუნება გახლდათ. როგორც ავთენტურობის ცნების დადგენის ისტორიამ გვიჩვენა, საბოლოოდ დარგის სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ რესტავრაციის საბოლოო მიზანი ადგილის სულის შენარჩუნება უნდა იყოს, რაც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის როგორც ფიზიკურად შენარჩუნებას, ისე მისი სოციალურ–კულტურული გარემოსა და აქ დამკვიდრებული სოციუმის ცხოვრების წესის მთელი სისავსით დაცვას. ავთენტურობის შენარჩუნების საკითხთან დაკავშირებით ჩვენი საკვლევ უბნის რეაბილიტაციის გაანალიზება საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული შემდეგი უმნიშვნელოვანესი პარამეტრების მიხედვით მოხდა:

1. ჩარევის სტრატეგიები და მეთოდები
2. სარესტავრაციო მასალები
3. რესტავრირებული სახლების მხატვრული სახე
4. მდებარეობა და გარემო
5. არამატერიალური ელემენტები და კულტურული კონტექსტი

საკვლევ უბანში გამოყენებული ჩარევის სტრატეგიები და მეთოდები

ჩარევის იმ სტრატეგიებმა და მეთოდებმა რომლებიც გამოყენებული იყო ჩვენი საკვლევ უბნის შემთხვევაში უდავოდ მოახდინა გავლენა მის ავთენტურობაზე.

რესტავრირებული 6 სახლის გაანალიზების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა მიდგომა: სახლების ნაწილი (აბო თბილელის ქუჩა N2 და N4 და საიათნოვას ქუჩა N1) მთლიანად იქნა დანგრეული და ხელახლა აშენებული. მეორე ნაწილი (საიათნოვას ქუჩა N3 და აბო თბილელის ქუჩა N6) მხოლოდ ნაწილობრივ იყო დანგრეული და აშენებული, ხოლო ზოგიერთი (საიათნოვას ქუჩა N13) არ დაუნგრევიათ, გაამაგრეს და რესტავრაცია გაუკეთეს. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო განგვესაზღვრა რომელ მიდგომას იყენებდნენ არქიტექტორები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რას ეფუძნებოდა მათ მიერ შერჩეული მიდგომა და ამის შედეგად დაგვედგინა მათი ამჟამინდელი სტატუსი ავთენტურობასთან მიმართებით.

ჩვენ მიერ განხილული სახლებიდან სამი – საიათნოვას ქუჩის N1 სახლის ერთი კორპუსი, ასევე, აბო თბილელის ქუჩის N2 და N4 სახლები – მთლიანად დაანგრეს და ხელახლა ააშენეს. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს რეკონსტრუქციასთან.

რეკონსტრუქცია, როგორც მეთოდი, ფართოდ იყო გავრცელებული XIX ს–ში. XX ს–ის დასაწყისიდან დაიწყო ბრძოლა XIX ს–ში მიღებული იმ მეთოდების წინააღმდეგ, რომლებიც ძირითადად სწორედ რეკონსტრუქციაზე იყო ფოკუსირებული. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ „რეკონსტრუქცია გულისხმობს იმ შენობათა ხელახალ აგებას, რომელთა განადგურება გამოწვეული იყო უბედური შემთხვევებით, ბუნებრივი კატაკლიზმებით (მაგ., მიწისძვრა), ან საომარი მოქმედებებით. ძეგლებისა და ზოგადად ღირსშესანიშნავი ადგილების მიმართებაში იგი გულისხმობს დაკარგული ორიგინალის ხელახალ შექმნას სურათის ან წერილობითი აღწერილობის საფუძველზე“.⁷

რეკონსტრუქციის მეთოდისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, მისი ხშირად გამოყენების გამო, რესტავრაციის სფეროს წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს ამ მეთოდის მოქცევა გარკვეული რეგულაციების ფარგლებში, რათა სამომავლოდ გამორიცხული ყოფილიყო ნებისმიერი თვითნებობა. 2000 წელს მიღებულ იქნა „ნაშენი მემკვიდრეობის კონსერვაციისა და აღდგენის პრინციპები, კრაკოვის ქარტია“ (2000), რომელიც განსაზღვრავს რეკონსტრუქციის ცნებას და მიუთითებს, რომ „...შეიარაღებული კონფლიქტის ან ბუნებრივი კატასტროფის შედეგად განადგურებული მთლიანი შენობის რეკონსტრუქცია მისაღებია მხოლოდ იმ

⁷ Petzet M. Principles of Conservation. *Introduction to the International Charters and Principles 40 Years after Venice Charter*. ICOMOS, 2004. გვ. 28

შემთხვევაში, თუ არსებობს განსაკუთრებული, მთელი საზოგადოების იდენტობასთან დაკავშირებული სოციალური ან კულტურული მოტივები.“⁸

ამავე საკითხს შეეხო რიგის ქარტია კულტურული მემკვიდრეობის ავთენტურობისა და ისტორიული რეკონსტრუქციის შესახებ (2000). აქ ვკითხულობთ: „გამონაკლის შემთხვევებში, კატასტროფის შედეგად, იქნება ეს ბუნებრივი თუ ადამიანური ზემოქმედებით გამოწვეული, დაკარგული კულტურული მემკვიდრეობის რეკონსტრუქცია, შეიძლება იყოს მისაღები მაშინ, როდესაც აღნიშნულ ძეგლს აქვს გამორჩეული მხატვრული, სიმბოლური ან გარემოსთან დაკავშირებული (ურბანული თუ სოფლის) მნიშვნელობა რეგიონალური ისტორიისა და კულტურისთვის.“⁹

ცხადია, რომ რეკონსტრუქცია, როგორც მეთოდი, გარკვეული დათქმებით დაშვებულია თანამედროვე რესტავრაციაში, მაგრამ არსებული, ექსპლოატაციაში მყოფი, თუნდაც ავარიული შენობის ძირფესვიანად დანგრევის და მისი ასლის აშენების ფაქტი ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა, დასავლური გამოცდილება ამ თვალსაზრისით.

რესტავრაციის ერთ–ერთ ყველაზე თვალსაჩინო და წარმატებულ მაგალითად ითვლება ქალაქ იორკის რესტავრაცია, რომლის კონცეფციის შემუშავება და შემდეგ განხორციელება დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა.¹⁰ იორკის აღდგენის ერთ–ერთი მთავარი პრინციპი იყო მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ ქალაქის სახე, თითოეული ნაგებობა იმ მდგომარეობაში, რომელშიც ეს ნაგებობები ჩვენემდე მოვიდა. შენობების უმეტესობა ავარიული იყო, კონსტრუქციული ელემენტები მოძველებული და მწყობრიდან გამოსული იყო. თუმცა, პროექტზე მუშაობის პროცესში გადაწყდა, რომ კონსტრუქტორების დახმარებით სწორედ ამ სახით შეენარჩუნებინათ ეს შენობები. სარესტავრაციო სამუშაოების შესრულებისას არ დაუნგრევიათ და ახლიდან არ აუშენებიათ არც ერთი საცხოვრებელი სახლი. რესტავრატორებმა, კონსტრუქტორებმა და მშენებლებმა მოახერხეს ამ დეფორმირებული სახლების ფორმების შენარჩუნება. დღეს იორკის ქუჩებში შეხვდებით სახლებს გადახრილი კედლებით, გამრუდებული ჰორიზონტალური სართულშუა გადახურვებით და სხვა იმგვარი ნიშნით, რომლითაც ამ შენობების სიძველე თვალნათლივ წარმოჩინდება. ანალოგიური მიდგომა იყო გამოყენებული ხორვატიის ქალაქ დუბროვნიკის რესტავრირებისას.¹¹ დუბროვნიკის

⁸ Principles for Conservation and Restoration of Built Heritage, Krakow Charter (2000).

https://icomosubih.ba/pdf/medjunarodni_dokumenti/2000%20Krakovska%20povelja.pdf

⁹ Riga Charter on authenticity and historical reconstruction in relationship to cultural heritage (2000)

https://www.icrom.org/sites/default/files/publications/2020-05/convern8_07_rigacharter_ing.pdf

¹⁰ York. A Study in Conservation. Report to the Mnister of Housing and Local Government and York City Council by Viscount Esher, MA. D Litt. PPRIBA, Fila. Dist TP. London. Her Majesty's Stationary office, 1968.

¹¹ Vučenović S. Methods of Surveying Dubrovnik's Architectural Heritage. *ICOMOS Scientific Journal*, 3. 1994. pp. 113-128. ISSN (ISBN) 955-613-054-3 [Article].

https://openarchive.icomos.org/id/eprint/2857/1/ICOMOS_Sc_J_v3_p113-128_Vucenovic.pdf

შემთხვევაშიც გეზი აღებული იყო იქითკენ, რომ არც ერთი ნაგებობა არ დანგრეულიყო და ახლით – მისი ასლით – არ შეცვლილიყო. ეს მიდგომა შერჩეული იყო იმის მიუხედავად, რომ დუბროვნიკი ომის შედეგად დანგრეულ ქალაქთა რიცხვში იყო.

ერთი სიტყვით, საერთაშორისო გამოცდილებას თუ დავეყრდნობით, ცხადი გახდება, რომ რეკონსტრუქცია, როგორც მეთოდი, მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების (ომის, კატაკლიზმების ან სხვა ბუნებრივი მიზეზების) დროს დანგრეული ნაგებობების შემთხვევაში გამოიყენება. სხვა დროს კი რესტავრაციის მიზანია, მაქსიმალურად შეინარჩუნოს ნაგებობა იმ მდგომარეობაში, როგორითაც ის ჩვენამდე მოვიდა, თუნდაც მისი ფორმების დეფორმაციის თუ სხვა რაიმე ნიშნის შენარჩუნების მეშვეობით. ამგვარი მიდგომა უნარჩუნებს შენობებს და მთელ გარემოს ე.წ. „თავისი დროის სულს“ და სიძველის სურნელს, მაშინ, როდესაც ახლად აგებული ასლი ამას ვერაფრით გამოხატავს. ჩვენი ახლად აგებული სამი სახლის ასლიც ამის დასტურია. ამ სახლების გასწორებული ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური მკაფიო ფორმები, სიზუსტით გამოყვანილი დეკორის დეტალები, გაპრიალებული ზედაპირები უკვე აღარ ატარებს სიძველის იერს და ერთგვარ თეატრალურ ბუტაფორიულ დეკორაციას წააგავს.

ამ კუთხით ჩვენს უბანთან და კერძოდ, რეკონსტრუირებულ 3 სახლთან დაკავშირებით, ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი გამოიკვეთა: ცხადია, რომ მათ მიმართ გამოყენებულ იქნა რეკონსტრუქციის მეთოდი, რადგან სახლები დაანგრეს და ხელახლა ააშენეს, რამდენად სწორი იყო ეს მიდგომა? თუ ჩავთვლით, რომ ხელახლა აშენება საფუძველს გვაძლევს ჩატარებული სამუშაოები რეკონსტრუქციად მივიჩნიოთ, მაშინ რა ვუყოთ დოკუმენტებში რეკონსტრუქციის განსაზღვრების იმ ნაწილს, რომელშიც რეკონსტრუქციის ჩატარების მთავარი პირობა დანგრეული, განადგურებული ნაგებობის არსებობაა?

არც ერთ მარეგულირებელ დოკუმენტში თუ ქარტიაში საუბარი არაა რეკონსტრუქციაზე იმ შემთხვევაში, თუ შენობა მთლიანად დგას და მით უმეტეს ექსპლოატაციაშია ანუ მას ადამიანები იყენებენ. ჩვენ შემთხვევაში კი ორი შენობა (საიათნოვას N1 და აბო თბილელის N2) მთლიანად იდგა, მხოლოდ ერთი სახლის (აბო თბილელის N4) ჩრდილოეთი ფლიგელი იყო დანგრეული და ექსპლოატაციიდან გამოსული. ანუ ფაქტობრივად საიათნოვას ქუჩის N1 და აბო თბილელის N2–ის, ასევე ნაწილობრივ აბო თბილელის N4–ის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც ორიგინალი, რომელიც მთლიანად შემორჩენილი იყო, თავად მშენებლებმა დააინგრეს და შემდეგ მისი ასლი ააშენეს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენი საკვლევი უბნის სახლების რესტავრაციის მიმართ ტერმინი რეკონსტრუქციის გამოყენებაც ალბათ უადგილოდ შეიძლება ჩავთვალოთ. ეს სახლები უბრალოდ ასლებია იმ ძველი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ისიც, სიტყვა ასლი ალბათ ბრჭყალებში უნდა ჩაისვას. თუმცა, ვინაიდან ეს ნაგებობები ხელახლა აშენდა, ისე, როგორც ეს რეკონსტრუქციის

მეთოდის გამოყენების შემთხვევაში ხდება, ჩვენ მათ მიმართ პირობითად მაინც ამ ტერმინს ვიყენებთ.¹²

ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია ნაგებობათა შიდა გეგმარების შენარჩუნება. უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ გაანალიზებულ ნაგებობებშიც ძველი გეგმარება თითქმის ყველგან შეცვლილია, ძალზე ხშირად ეს მოსახლეობის საჭიროებებითა და მათი მოთხოვნებით აიხსნება, რასაც ამ უბნის მოსახლეობის გამოკითხვაც ადასტურებს.

საერთოდ ძველი გეგმარების შენარჩუნების საკითხი ძველების რესტავრაციისას საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს. ICOMOS-ის 2003 წლის ქარტიის (არქიტექტურული მემკვიდრეობის ანალიზის, კონსერვაციისა და სტრუქტურული რესტავრაციის პრინციპები) ერთ-ერთ მუხლში განსაზღვრულია, რომ „შიდა სტრუქტურის მოშლა მხოლოდ ფასადების შენარჩუნების პირობებში კონსერვაციის კრიტერიუმებში ვერ ჯდება“.¹³ მაგრამ, ამავე დროს, საცხოვრებელი უბნების რეაბილიტაციისას აუცილებელია გათვალისწინებული იყოს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაც. **ვაშინგტონის ქარტია (1987)** განსაზღვრავს, რომ „საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება კონსერვაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს“.¹⁴ **ვალეტას პრინციპების დოკუმენტში (2011)** კი ვკითხულობთ: „ისტორიულ ქალაქებსა და ურბანულ არეალებში ყველა ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს ადგილობრივი მცხოვრებლების ცხოვრებისა და გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას“.¹⁵ ამ შემთხვევაში დასაცავია ე.წ. ოქროს შუალედი, რათა ძველის შიდა გეგმარების ცვლილება მინიმალური იყოს და მოსახლეობის ინტერესებიც გათვალისწინებულ იქნას მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით. ამდენად, საჭიროა დაგეგმარების პროცესში მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობა, მათი აქტიური ჩართულობა, შეძლებისდაგვარად მათი სურვილებისა და მოთხოვნების გათვალისწინება საყოფაცხოვრებო პრობლემებთან დაკავშირებით. ასევე, აუცილებელია მათთან ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება.

ჩვენს საკვლევ უბანში აღდგენილ სახლებს შორის ჩარევის სტრატეგიისა და მიდგომის განსხვავებულობით გამოირჩევა აბო თბილელის N6 და საიათნოვას ქუჩის N13-ში მდებარე სახლები, რომლებიც არ დაუნგრევიათ, მაგრამ ისინი მთლიანად განიძარცვა მოსაპირკეთებელი მასალებისაგან და ჩაისვა რკინაბეტონის კარკასში, მოხდა მათი არმირება. ბეტონითვე გამაგრდა მათი საძირკვლები.

¹² რეკონსტრუქციის ტიპების შესახებ იხ.: Mörsch G. Aufgeklärter Widerstand: das Denkmal als Frage und Aufgabe, Basel, Birkhäuser, 1989.

¹³ ICOMOS-ის ქარტია - არქიტექტურული მემკვიდრეობის ანალიზის, კონსერვაციისა და სტრუქტურული რესტავრაციის პრინციპები (2003). მუხლი 3.17.

¹⁴ Charter for the Conservation of Historic Towns and Urban Areas (Washington Charter (1987). https://www.icomos.org/images/DOCUMENTS/Charters/towns_e.pdf

¹⁵ The Valletta Principles for the Safeguarding and Management of Historic Cities, Towns and Urban Areas (2011), მუხლი 3b

https://civvih.icomos.org/wp-content/uploads/2022/03/Valletta-Principles-GA-_EN_FR_28_11_2011.pdf

ამდენად, გამოიკვეთა, რომ ჩვენს საკვლევ უბანში აღდგენილი ექვსი სახლიდან სამის მიმართ გამოყენებულ იქნა რეკონსტრუქციის მეთოდი, ერთის მიმართ – ნაწილობრივი რეკონსტრუქციის და ნაწილობრივ რესტავრაციის მეთოდი, ხოლო ორი მათგანი კი რესტავრირებულ იქნა.

სარესტავრაციო მასალები

ურბანული არეალების შესანარჩუნებელ ნიშან-თვისებების ჩამონათვალში, ავთენტურ მასალას თანაბარი ადგილი უჭირავს ინტერიერისა და ექსტერიერის, ზომისა და მასშტაბის, სტილის, სამშენებლო მეთოდის, ფერისა და დეკორის გვერდით.¹⁶ მასალა ნარას დოკუმენტშიც არის მოხსენიებული, როგორც ავთენტურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტი.¹⁷

საერთაშორისო პრაქტიკას თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ მეზისმიერი კულტურული მემკვიდრეობის მეგლის რესტავრირებისას სპეციალისტები მასალის ავთენტურობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, რაც ნორმატიული აქტებითაც არის გამყარებული.¹⁸

¹⁶ Charter for the Conservation of Historic Towns and Urban Areas (Washington Charter 1987). მუხლი 2. https://www.icomos.org/images/DOCUMENTS/Charters/towns_e.pdf

ისტორიული ქალაქებისა და ურბანული არეალების შესანარჩუნებელი ნიშან-თვისებებია ისტორიული ხასიათი და ყველა ის მასალა და არამატერიალური ელემენტი, რომელიც ამ ხასიათს გამოხატავს, კერძოდ:

- ურბანული ქსოვილის სტრუქტურა, რომელსაც განსაზღვრავს ქუჩების ქსელი და მიწის ნაკვეთები;
- შენობების, გამწვანებული სივრცეებისა და ღია სივრცეების ურთიერთმიმართება;
- შენობების გარეგნული იერსახე, ინტერიერი და ექსტერიერი, რომელებიც განისაზღვრება მასშტაბით, ზომით, სტილით, სამშენებლო მეთოდით, მასალით, ფერითა და დეკორით;
- ქალაქის ან ურბანული არეალის მიმართება როგორც ბუნებრივ, ასევე ადამიანის ხელქმნილი გარემოსთან;

ნებისმიერი საფრთხე, რომელიც ამ ნიშან-თვისებებს ემუქრება, ისტორიული ქალაქის ან ურბანული არეალის ავთენტურობის შემლახავია.

¹⁷ ნარას დოკუმენტი ავთენტურობის შესახებ (2004), მუხლი 5.

<https://ancientgeorgia.files.wordpress.com/2014/04/naras-dokumenti-avtenturobis-sesaxeb.pdf>.

¹⁸ „ჩარევის შემთხვევაში, ისტორიული ნაგებობა უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთი მთლიანი. ყველა მასალას, მათ შორის სტრუქტურულ ელემენტებს, შემავსებელ პანელებს, ფიცარს, სახურავებს, იატაკსა და კარ-ფანჯარას თანაბარი ყურადღება უნდა მიექცეს. შეძლებისდაგვარად უნდა შენარჩუნდეს არსებული მასალა, ასევე უცვლელად უნდა დარჩეს ადრე ჩატარებული სარემონტო სამუშაოები, თუ მათი შედეგები საფრთხეს არ უქმნის ნაგებობის მდგრადობას. კონსერვაციის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ზედაპირის ფენები, კერძოდ, თაბაშირი, საღებავი, შპალერი და სხვ., ისევე, როგორც თავდაპირველად გამოყენებული მასალა, ტექნიკა და ტექსტურა. თუ დაზიანებული ზედაპირის ფენების ჩანაცვლება გადაუდებლად აუცილებელია, სასურველია, თავსებადი მასალებისა და მეთოდების გამოყენება“. Principles for the Conservation of Wooden Built Heritage, მუხლი 18. მიღებულია ICOMOS-ის მე-19 გენერალურ ასამბლეაზე, ნიუ-დელი, ინდოეთი, 15 დეკემბერი, 2017.

ცხადია, რომ ჩვენს საკვლევ უბანში თავიდან აშენებული სახლების შემთხვევაში მთლიანად ახალი სამშენებლო მასალები იქნა გამოყენებული როგორც ინტერიერებში, ისე ექსტერიერებში. ძველი ნაგებობებიდან მოხსნილი, რესტავრირებული და შენარჩუნებული იყო მხოლოდ ცალკეული დეტალები. მაგ., მასკარონები, ხის აივანი საიტნოვას 1-ში და აბო თბილელის 1-ში, ზოგიერთი სადარბაზოს კარი და სხვ. ამ სახლების სამშენებლო მასალად გამოყენებული იყო აგური, ეს ის ავთენტური მასალაა, რომლითაც ძველი სახლები იყო ნაგები. დანარჩენ სახლებში, როგორც რესტავრაციის პროცესზე დაკვირვებამ გვიჩვენა, გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სამშენებლო მასალა. მაგ., ყველა რესტავრირებულ სახლში გამაგრება მოხდა რკინაბეტონის კონსტრუქციებით (საიათნოვას N3, და N13, აბო თბილელის N6). სარდაფების და საძირკვლების გასამაგრებლად გამოყენებულ იქნა ბეტონი, რის შედეგადაც ბევრგან სამუდამოდ დაიკარგა ძველი სარდაფების კვალი.¹⁹ ზოგიერთი არქიტექტურული ელემენტი, რომელიც რესტავრაციისას შეიცვალა, არაავთენტური მასალისაგან დამზადდა. მაგ., საიათნოვას N1-ის ეზოს ჭიშკარი ჩამოსხმული იყო, ამჟამად შეკიდული ჭიშკარი ზუსტად იმეორებს ძველის ფორმებს, მაგრამ ე.წ. ტრუბა-კვადრატის მილებისაგან არის დამზადებული. გაუგებარია, რატომ მოხდა ძველი, ოდნავ დეფორმირებული ჭიშკრის შეცვლა, რომლის შეკეთება დიდ ძალისხმევას არ მოითხოვდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევებში მართლაც გამოყენებულია ავთენტური მასალები. ყველა აღდგენილ სახლში სართულშუა გადახურვები, ძველი ტრადიციის მიხედვით, ხის კოჭებითაა მოწყობილი, მხოლოდ სველი წერტილების ქვეშაა გამოყენებული ბეტონის გადახურვა. ფასადებზე ფანჯრებიც უმეტესად ხისაა და მეტალოპლასტმასი მხოლოდ რამდენიმე ადგილასაა გამოყენებული. ეზოების მხარეს კიბეების, შუშაბანდების ფანჯრების თუ სხვა დეტალების შემთხვევაში ძველი თბილისისათვის ტრადიციული მასალებია (ხე და ლითონი) გამოყენებული.

ისტორიულად თბილისში მშენებლობისას გამოიყენებოდა ადგილობრივად წარმოებული სამშენებლო მასალა: ე.წ. ძველი, კვადრატული აგური, გაჯი, კირი, თიხა, ხე, რაც ქმნიდა კედლების დამახასიათებელ ფაქტურას, ფერს, შუქრდილს.²⁰ ეს

https://www.icomos.org/images/DOCUMENTS/General_Assemblies/19th_Delhi_2017/Working_Documents-First_Batch-August_2017/GA2017_6-3-4_WoodPrinciples_EN_final20170730.pdf

¹⁹ ძველის გახსნა, როგორც ასეთი, არც ერთ ჩვენ მიერ განხილულ სახლზე არ მომხდარა; შესაბამისად, არც შურფები და არც ზონდაჟი არ გაკეთებულა სამშენებლო სამუშაოების პროცესში. ჩვენ ვაკვირდებოდით, როგორ მიმდინარეობდა ნგრევა, რომლის დროსაც ძველის დაშლის წესები არ იქნა დაცული. მოგვიანებით ჩვენთვის ცნობილი გახდა წინასარესტავრაციო კვლევების შედეგები, რომელთა მიხედვითაც აბო თბილელის ქუჩის N2 და N4 სახლების ქვეშ, სავარაუდოდ, ქართლის მეფე როსტომის (1632–1658) მეფობის პერიოდის ორი სარდაფი აღმოჩნდა, ხოლო აბო თბილელის N6 სახლის სარდაფში კი – XVII ს-ის ახლო პერიოდის სადგომი. მათი ბედი ჩვენთვის ამჟამად უცნობია.

²⁰ სურამელაშვილი მ. რაც მუდმივი და განუმეორებელია თბილისში, *ურბანული მექვიდრობის დაცვა: ძველი თბილისის იდენტობა და სული. კონფერენციის მასალები, თბ., 2010*, გვ. 70.

მასალები, მათი შემადგენლობა თუ სხვა თვისებები თითქმის არაა შესწავლილი და ისინი არც იქნა გამოყენებული ჩვენი უბნის შემთხვევაში.

ცალკე საკითხია მასალები, რომლებიც ინტერიერებშია გამოყენებული. აბო თბილელის N6 სახლის სადარბაზოში, რომელიც თითქმის მთლიანად დანგრეული იყო და ახლა სრულადაა აღდგენილი, ავთენტური მასალები გვხვდება. იატაკის მოსაპირკეთებლად გამოყენებულია სხვადასხვა ფერის მარმარილო, ნახატიც ზუსტადაა აღდგენილი ძველი ფოტოებისა და შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით.

რაც შეეხება საცხოვრებელ სახლების ინტერიერებს, აქ ყველგან თანამედროვე მასალებია გამოყენებული და ცხადია, რომ, გეგმარებასთან ერთად, სრულიად წაშლილია ძველი ინტერიერების სახე და შესაბამისად, მათი ხასიათიც.

ავთენტური მასალების გამოყენების კუთხით, ძალზე საინტერესოა საიათნოვას ქუჩის N3-ის სარდაფი. ამ სახლის რესტავრაციისას მხოლოდ მეორე სართული დაანგრიეს, პირველი სართული და სარდაფი კი ხელუხლებლად დარჩა, მხოლოდ სამირკველის გამაგრება მოხდა ბეტონით. სარდაფის სართულის ინტერიერში კედლები შელესილი არაა და მოჩანს ძველი და ალაგ-ალაგ ახალი აგურის წყობა. აღსანიშნავია, რომ მშენებლებმა, აგურის კედლები რომ არ დაეზიანებინათ, ელექტროგაყვანილობის ოდინდელი ტექნიკა გამოიყენეს და ელექტროობის კაბელები აგურის წყობის ზემოდან გაატარეს, რაც სიძველის შთაბეჭდილებას ქმნის.

ამგვარად, ჩვენი უბნის რესტავრაციისას, მასალების გამოყენების თვალსაზრისით, არათანმიმდევრული დამოკიდებულება შეიმჩნევა: გამოიყენება როგორც ავთენტური მასალა (აგური, რკინა, ხე), ისე – არაავთენტური (მეტალოპლასტმასი, ტრუბო-კვადრატი, ცემენტი, ბეტონი, რკინაბეტონი).

რაც შეეხება მშენებლობის ხერხებს, რომლებსაც უზადოდ ფლობდნენ თავის საქმეში დახელოვნებული ძველი ოსტატები, ჩვენ შემთხვევაში იგნორირებულ იქნა. ფასადები სრულიად განიდარცვა ძველი ნალესობისაგან, მოხდა შენობების არმირება, შემდეგ უხეშად შებათქაშდა, დოკუმენტური სიზუსტის გარეშე ჩამოსხმული პროფილები დამაგრდა, შემდეგ ცემენტით შეილესა და შეიღება, რის გამოც ფასადების ავთენტურობა გარკვეულწილად დაიკარგა.

საკვლევი უბანში რესტავრირებული სახლების მხატვრული სახე

ურბანული მონაკვეთის მხატვრული ღირებულება კომპლექსური საკითხია და ის მრავალი კომპონენტისაგან შედგება. ამ კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ მიდგომას ირჩევენ პროექტის ავტორები ძველის შემადგენელი სხვადასხვა ეპოქის დროს შექმნილი ელემენტების მიმართ.

ჩვენი საკვლევი მონაკვეთი ოდითგანვე საცხოვრებელ უბანს წარმოადგენდა და საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული. საყოფაცხოვრებო პრობლემებიდან გამომდინარე, მოსახლეები აქ მუდმივად ცდილობდნენ საკუთარი პირობების გაუმჯობესებას. ასე გაჩნდა აქ (ძირითადად ეზოებში) სრულიად სტიქიურად XX ს-ის სხვადასხვა პერიოდში აგებული მინაშენები, რომლებიც, ცხადია, საკუთარი დროის

დაღს ატარებდა და თავდაპირველად აგებული სახლების მხატვრულ სახეს საერთოდაც არ ითვალისწინებდა. ეს ნაგებობები ხშირად თავადაც არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენდა. თუმცა, დროთა განმავლობაში ისინიც ამ უბნის განუყოფელ ნაწილად იქცა და ისტორიულ-სოციალური თვალსაზრისით მაინც შეიძინა გარკვეული ღირებულება, როგორც თავისი ეპოქის აღმწერმა ელემენტებმა. მაგ., ამგვარი იყო საიათნოვას ქუჩის N1-ის ეზოში აგებული ერთსართულიანი საცხოვრებელი მოცულობა, რომელიც XX ს-ის მეორე ნახევრისა უნდა ყოფილიყო. ეს სრულიად უსახური, ცემენტით გალესილი კუბური მოცულობის მქონე შენობა იყო, რომელიც, თავისი მძიმე ფორმით, კედლების საკმაოდ დიდი სიბრტყეებით და მხოლოდ ორი ფანჯრით სრულიად არღვევდა ამ ტიპური თბილისური ეზოს მხატვრულ სახეს და თავისი ხისტი და მძიმე ფორმით უპირისპირდებოდა ეზოში გამომავალი აივნებითა და მსუბუქი კიბეებით შექმნილ ცხოველხატულ შთაბეჭდილებას. არქიტექტორებმა შეინარჩუნეს ეს ნაგებობა. ოღონდ ცემენტით გალესილი კედლების ნაცვლად ახლა მის ფასადზე აგურის წყობას ვხედავთ. მათ გაადიდეს ფანჯრები და შესაბამისად, კედლის სიბრტყე შემცირდა და შემსუბუქდა. ამ ერთსართულიანი მოცულობის თავზე გაჩნდა მანსარდი, რომელმაც კიდევ უფრო მეტად შეავიწროვა ეზოს სივრცე. რით იხელმძღვანელებს არქიტექტორებმა ამ ნაგებობის შენარჩუნებისას? ცხადია, მათი მოტივაცია უპირველესად ის იყო, რომ მაცხოვრებლებს ფართი არ დაკლებოდათ. უფრო მეტიც, მათ არა თუ დააკლდათ ფართი, არამედ, მოემტათ კიდევ ამ მოცულობის თავზე მანსარდის დადგმით. ერთი შეხედვით, მშენებლებმა თითქოს გაითვალისწინეს ნორმა, რომელსაც ასეთი შემთხვევებისათვის ადგენს ვენეციის ქარტია: *„გაფრთხილების საგანია ძეგლის შემადგენელი, ყველა ეპოქის დროს შექმნილი ელემენტი – რესტავრაციის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი სტილის დაცვა. როდესაც ძეგლი სხვადასხვა, ერთმანეთზე დადებულ შრეებს შეიცავს, მათი გაწმენდა და დამალული შრეების გამოჩენა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როდესაც მოშორებული შრე ნაკლებად ღირებულია, აღმოჩენილი კი განსაკუთრებული ისტორიული, სამეცნიერო ან ესთეტიკური მნიშვნელობის მატარებელი და თუ მისი არსებული მდგომარეობა ამ მოქმედებას ამართლებს...“²¹*

თუ ვენეციის ქარტიის ამ მუხლს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ არქიტექტორები სწორად მოიქცნენ, რომ საბჭოთა ეპოქის ეს „ჩანართი“ დატოვეს, რადგან, ეს შენობა დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული არქიტექტურული გარემოს, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, ისტორიის ნაწილი იყო, მაგრამ ახალმა ფორმამ და მასალებმა, რომლებიც მათ გამოიყენეს, სრულიად შეცვალა ამ ნაგებობის სახე და ის თავისი ეპოქის უსახური ნიმუშიდან თანამედროვე ნაგებობად იქცა. ანუ ფაქტიურად წაიშალა საბჭოთა პერიოდის კვალი. ცხადია, რომ ეს ნაგებობა არ იყო მხატვრულად ღირებული და მისი მოცილება, როგორც ამას ვენეციის ქარტია განსაზღვრავს,²²

²¹ ვენეციის ქარტია (1964), პარაგრაფი 11.

²² „...როდესაც ძეგლი სხვადასხვა, ერთმანეთზე დადებულ შრეებს შეიცავს, მათი გაწმენდა და დამალული შრეების გამოჩენა მხოლოდ მაშინაა გამართლებული,

სრულიად გამართლებული იქნებოდა. თუმცა ისიც გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში ბინის მფლობელის სხვა ბინით დაკმაყოფილების საკითხი წამოიჭრებოდა, რაც არ იქნებოდა იოლად გადასაჭრელი.

ამდენად, საბჭოთა მინაშენის ნაცვლად, რომელსაც არანაირი მხატვრული ღირებულება არ ჰქონდა და რომელიც სწორედაც თავისი უსახურობით კარგად ასახავდა საბჭოთა ეპოქას, მივიღეთ პირველ სართულზე აგურის წყობით შექმნილი ძველის იმიტაცია, ფაქტიურად ბუტაფორია და მასზე დადგმული თანამედროვე მასალებით ნაშენი მანსარდის თანამედროვე ფორმა.

საბჭოთა პერიოდის კვალი დარჩა აბო თბილელის ქუჩის N4 სახლის ეზოში. აქ ხელუხლებლად დატოვებული ორი ავტოფარეხი, რომლებიც თავისი სახით სრულ დისონანსს ქმნის ეზოში.

ამ უბნის მხატვრული სახის შექმნაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს კიბეები, რომლებიც ეზოებში ერთგვარ აქცენტებად იკითხება. ისინი ხისა და რკინისაგანაა დამზადებული და სხვადასხვა ფორმით გამოირჩევა. ორ და სამმარშიანი, ასევე ხვეული კიბეები, რომლებიც არქიტექტორებმა მაქსიმალურად შეინარჩუნეს, სხვა ტიპიურ ელემენტებთან ერთად, კვლავ განსაზღვრავს ძველთბილისური ეზოების ხასიათს. იქ, სადაც აუცილებელი იყო (აბო თბილელის N2-ის ეზოში) დამატებითი კიბის გამართვა, იქაც არქიტექტორებმა თბილისური ეზოებისათვის ტრადიციული ხვეული ფორმის რკინის კიბე გამოიყენეს. საიათნოვას 3-ის პატარა ეზოში კი მათ ნარინჯისფრით გამოყვეს ხვეული ხის კიბე საიათნოვას ქუჩის ერთ-ერთ ეზოში და ამით მკაფიო მახვილი დასვეს ეზოს საკმაოდ ვიწრო სივრცეში.

ამ უბნის სახლების რეკონსტრუქციისა თუ რესტავრაციისას შენარჩუნებულ იქნა ქუჩის მხარეს მდებარე შემინული ხისა და რკინის აივნები და ეზოების მხრიდან მოწყობილი აივნები და შემინული შუშაბანდები, რომლებიც ქუჩებისა და ეზოების მხატვრული სახის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი იყო.

უბნის მხატვრულ სახეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს შენობების კონტურები და სილუეტები. დეფორმაციათა შენარჩუნება რესტავრაციის დროს, სიძველის განსაკუთრებულ ხიზლს უნარჩუნებს ნაგებობებს. ამის შესანიშნავი მაგალითია ქალაქ იორკის რესტავრაცია, რომელზეც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ. საპირისპირო შედეგი მიიღეს ქალაქ დუბროვნიკის რესტავრაციის დროს. მთელ ქალაქში გამოიცვალა კრამიტის სახურავები. ძველი კრამიტის ახლით შეცვლამ გამოიწვია მხატვრული შთაბეჭდილების ცვლილება, რადგან ძველი კრამიტით დახურული სახლების მრუდი ხაზები, რომლებიც ცოცხალ, დინამიკურ ეფექტს ქმნიდა, ახალი კრამიტის შემთხვევაში, სრულიად შეიცვალა სწორი ხაზებით და მოწესრიგებული

როდესაც მოშორებული შრე ნაკლებად ღირებულია, აღმოჩენილი კი განსაკუთრებული ისტორიული, სამეცნიერო ან ესთეტიკური მნიშვნელობის მატარებელია და თუ მისი არსებული მდგომარეობა ამ მოქმედებას ამართლებს... ვენეციის ქარტია (1964), პარაგრაფი 11.

გეომეტრიული ხისტი სილუეტები და რიტმი შექმნა.²³ ჩვენი უბნის შემთხვევაშიც, როგორც ახლადშენებული, ისე რესტავრირებული სახლების ლარივით გასწორებული კედლები სიძველის იერს უკვე აღარ ატარებს. გამონაკლისია საიათნოვას ქუჩის N1 სახლის მეორე სახლი, რომლის პირველი სართული არ დაუნგრევიათ, გაამაგრეს და გადახრილი დატოვეს. ვინაიდან გადახრის კუთხე არც თუ დიდია, შესაძლოა, ადამიანმა ვერც კი შეამჩნოს ეს გადახრა, თუმცა მისი თვალი ამას მაინც აღიქვამს და შესაბამისად, ნაგებობაც ხისტი ფორმით კი არ მეტყველებს, არამედ თითქოს ცოცხალ, საკუთარი ხასიათის მქონე ორგანიზმად გვევლინება.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს საკვლევ უბანში თარაზოთი გასწორებულმა ახლადშეღებილი ნაგებობების ფასადებმა თითქოს მათ სიძველის ელფერი დაუკარგა და ერთგვარი ბუტაფორიული ხასიათი, დეკორაციის იერი მიანიჩიქა, რაც ცხადია ავთენტურობის საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

მდებარეობა და გარემო

მდებარეობა და გარემო მეტად მნიშვნელოვანი ასპექტებია, როცა საუბარი ავთენტურობის შენარჩუნებას ეხება. გარემოს შენარჩუნებაზე, მასთან ჰარმონიულ მხატვრულ შეთანხმებულობაზე საუბარია რესტავრაციასთან დაკავშირებულ არა ერთ დოკუმენტში: „...მაშინ, როცა აუცილებელია ახალი შენობის აგება ან არსებულის ადაპტაცია, ანგარიში უნდა გაეწიოს არსებულ სივრცით გეგმარებას, განსაკუთრებით მასშტაბისა და ნაკვეთების ზომის გათვალისწინებით...“²⁴

ამ თვალსაზრისით ჩვენს საკვლევ უბანში თითქმის არაფერი შეცვლილა, სახლების მასშტაბი შენარჩუნებულია, ზედმეტი მოცულობები პრაქტიკულად არ დამატებია არც ერთ შენობას (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ეზოს), შენობების პროპორციები არ შეცვლილა.

რა იყო ჩვენი საკვლევ უბნის დამახასიათებელი ნიშნები გარემოს თვალსაზრისით? ამ უბნისათვის (და საერთოდ კალასთვის) დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების მიხვეულ-მოხვეული გეგმარების მქონე ვიწრო ქუჩები, რომლებზეც ერთ და ორსართულიანი სახლებით შემოსაზღვრული მყუდრო, ადამიანური მასშტაბის მქონე სივრცე იქმნებოდა. რესტავრაციის შემდგომ ეს ნიშან-თვისება შენარჩუნებულია ჩვენი საკვლევ უბნის ქუჩათა უმეტესობაზე. თუმცა საიათნოვას ქუჩაზე რამდენიმე სახლის დანგრევის შედეგად (საიათნოვას N5, N7 და N9; ასევე, საიათნოვას N4, N6) ეს შთაბეჭდილება დარღვეულია და საკმაოდ დიდი თავისუფალი სივრცეები ჩნდება, რაც სრულიად აქრობს ძველთბილისური ქუჩის დამახასიათებელ მყუდრო სივრცის

²³ Vučenović S. Methods of Surveying Dubrovnik's Architectural Heritage. *ICOMOS Scientific Journal*, 3. 1994, ISSN (ISBN) 955-613-054-3 [Article]. გვ. 117.
https://openarchive.icomos.org/id/eprint/2857/1/ICOMOS_Sc_J_v3_p113-128_Vucenovic.pdf

²⁴ Charter for the Conservation of Historic Towns and Urban Areas (Washington Charter 1987) მუხლი 10. https://www.icomos.org/images/DOCUMENTS/Charters/towns_e.pdf

შეგრძნებას. ეს სახლები ავარიული იყო და უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთმანეთის მიყოლებით დაინგრა; შედეგად, რესტავრაციისას აღდგენილი სახლები თითქოს მათთვის უჩვეულო გარემოში აღმოჩნდა. ალბათ, საჭიროა გარკვეულ კონცეფციაზე მუშაობის დაწყება, თუ როგორ შეიძლება ამ ადგილების „შევსება“ ისე, რომ არც მასშტაბის, არც ფორმისა თუ სტილის თვალსაზრისით აქ ჩადგმულმა მოცულობებმა არ დააკნინოს ძველი ნაგებობები, მეტოქეობა არ გაუწიოს მათ; ამავე დროს, შემოსაზღვროს სივრცე, გაამთლიანოს ქუჩის პერიმეტრი და გარკვეული თვალსაზრისით ხელი შეუწყოს ძველთბილისური ქუჩის სიმყუდროვის შთაბეჭდილების კვლავ გაჩენას.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც გარემოს ეხება, ესაა გამწვანება. რესტავრაციამდე ამ უბნის ეზოებში იდგა ხეები. ზოგი მათგანი საკმაოდ დიდი იყო. ეს ხეები თბილისური ეზოების ცხოველხატულობასა და სიმყუდროვეს აძლიერებდა და ჩრდილს იძლეოდა. რესტავრაციის პროცესში უკლებლივ ყველა მათგანი მოჭრეს. ახლა ეს „შიშველი“ უბანია, რომელშიც არც ერთი ხე არ დგას და ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ამ უბნის მსგავსებას თეატრალურ დეკორაციასთან.²⁵

არამატერიალური ელემენტები და კულტურული კონტექსტი

კვებეკის დეკლარაციაში განსაზღვრულია, რომ კულტურულ მემკვიდრეობას გააჩნია მატერიალური და არამატერიალური განზომილებები. ეს უკანასკნელი მოიცავს: მოგონებებს, მონათხრობს, წერილობით დოკუმენტებს, რიტუალებს, ტრადიციებს, ღირებულებებს, ტექსტურებს, ფერებს, სურნელსაც კი. (კვებეკის დეკლარაცია, პრემიულა). რომ შევაჯამოთ, ესაა სოციალურ-კულტურული გარემო და სოციუმის ცხოვრების წესი. ეს ყოველივე, მატერიალურ განზომილებასთან ერთად განსაზღვრავს და ქმნის „ადგილის სულს“ (genius loci), რომლის შენარჩუნება დღევანდელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი ერთ-ერთ სტატიაში განიხილავს თბილისის ე.წ. მეხსიერების ადგილებს და შენიშნავს, რომ *„მეხსიერების თბილისური ადგილების უდიდესი ნაწილი სწორედ ტოტალიტარიზმის პერიოდშია შექმნილი...“*²⁶ ავტორს მოჰყავს ამ მოსაზრების დამადასტურებელი ფაქტები, თუმცა, უნდა ითქვას, რომ თბილისის ერთ-ერთი ქმედითი მეხსიერების ადგილი სწორედ ძველი თბილისის უბნებია და მათ შორის ჩვენი საკვლევი უბანიცაა. ამას განსაზღვრავს არა მარტო მისი არქიტექტურულ-ურბანული თავისებურებანი და ხიბლი, არამედ, XIX ს-დან მოყოლებული აქ ჩამოყალიბებული და დროთა განმავლობაში ტრანსფორმირებული ცხოვრების წესი. ოდითგანვე ეს უბანი, ისევე, როგორც მთელი კალა, მრავალეროვანი უბანი იყო; აქ ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ სომხები,

²⁵ რამდენიმე მოსახლემ ჩვენთან საუბრისას გამოთქვა მზაობა, რომ ისინი აუცილებლად თავად დარგავენ ხეებს.

²⁶ შათირიშვილი ზ. ნაციონალური ნარატივები – მეხსიერების ადგილები – თბილისური კულტურა, თბილისი ურბანული ცვლილებების ხანაში. *ურბანული სივრცისა და ქალაქგეგმარების სოციალურ-კულტურული განზომილებანი*. თბ., 2010, გვ. 110.

აზერბაიჯანელები, ეზიდები, ებრაელები, რუსები და სხვ. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის თვალსაზრისითაც, ეს ძალზე მრავალფეროვანი უბანი იყო, რომელშიც სხვადასხვა ფენისა და პროფესიის წარმომადგენლები სახლობდნენ. მოსახლეობის სიმჭიდროვეც აქ საკმაოდ დიდი იყო. ძველი ქალაქის ამ უბნებში მხოლოდ თბილისისათვის დამახასიათებელი გარკვეული ტიპის ურთიერთობები და ცხოვრების წესი ჯერ კიდევ XIX ს–ში ჩამოყალიბდა, რომელმაც გარკვეული სახეცვლილებებით საბჭოთა პერიოდშიც გააგრძელა არსებობა. ამ უბნებში ე.წ. კომუნალური ბინების სისტემა დამკვიდრდა, საერთო სამზარეულოებითა და ტუალეტებით, რაც მეზობლებს შორის მჭიდრო ურთიერთობებს განაპირობებდა. გარდა ამისა, დაახლოებით 8 თვის განმავლობაში, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მეზობლების ერთობლივი ცხოვრება იმ ღია აივნებზე მიედინებოდა, რომლებზეც მათი ბინები გამოდიოდა. ერთი სიტყვით, თავად არქიტექტურაც, თავისი სტრუქტურით და კომუნალური პირობებიც განაპირობებდა ამგვარ ღია, გახსნილ ცხოვრების წესს.²⁷ ცხადია, ეს ხშირად მოუხერხებელი იყო ყოფითი თვალსაზრისით,²⁸ მაგრამ თავისი დადებითი მხარეებიც ჰქონდა სოციალური კუთხით. ადამიანებმა თავისდაუნებურად ყველაფერი იცოდნენ მეზობელი ოჯახების შესახებ, ისინი იზიარებდნენ ერთმანეთის ჭირსა თუ ლხინს, მონაწილეობდნენ ერთმანეთის ცხოვრებაში.

საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით კი 1960–იანი წლების მიწურულიდან, როდესაც ახალ უბნებში ე.წ. ხრუმჩოვკების მშენებლობა მასიურად დაიწყო, თბილისის ძველ უბნებში აქტიურად მიმდინარეობდა ჯენტრიფიკაციის პროცესი. სწრაფვამ უფრო კომფორტული ახალი საცხოვრებლებისაკენ კალაძან და თბილისის სხვა ძველი უბნებიდან მოსახლეობის გადინებას შეუწყო ხელი. შესაბამისად, აქ დარჩენილმა მოსახლეობამაც საკუთარი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ინდივიდუალური სამზარეულოებისა და სველი წერტილების მოწყობას მიჰყო ხელი, რამაც ბინების შიდა გეგმარებარებაში ძლიერი ცვლილებები გამოიწვია. გარდა ამისა, XX ს–ის ბოლო ათწლეულებში ცხოვრების ტემპის გააქტიურებამ, სოციალური და ეკონომიკური პირობების ცვლილებამ იზოლაციისაკენ სწრაფვის ტენდენციები გააძლიერა, რაც გლობალური მოვლენა იყო და არა მარტო თბილისისათვის. მეზობლები ნელ–ნელა საკუთარ სახლებში შეიკეტნენ. სწორედ ამ დროს ჩნდება ამ უბნებში ბინაში

²⁷ თბილისის არქიტექტურის ეს გახსნილობა და ღიაობა აბსოლუტური არაა (იხ.ყიფიანი ნ. ქალაქი სარკე, *ილიაზდი 1.1, 2003*, გვ. 9–12), ძველი თბილისის არქიტექტურა ღიაობასა და ჩაკეტილობას შორის ერთგვარ წონასწორობას იცავს, რაც მას გარკვეული ტიპის ღია საზოგადოების, სამოქალაქო საზოგადოების წინამორბედად წარმოაჩენს (იხ.სურამელაშვილი მ. ძველი თბილისი პრობლემების ხასიათი ბეთლემის უბნის მაგალითზე. *ილიაზდი.1.1*, გვ. 6–8.).

²⁸ ხშირად იქმნებოდა კომუნიკაციების შეკვეთასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, რომლებიც კონფლიქტებს წარმოშობდა მეზობლებს შორის (იხ.:მანინგი პ. აივნების ქალაქი: ელიტარული პოლიტიკა და პოსტსოციალისტური ურბანული ლანდშაფტის ცვალებადი სემიოტიკა, *ურბანული სივრცისა და ქალაქგეგმარების სოციალურ–კულტურული განზომილებანი*, თბ., 2010, გვ. 99–100.

შესასვლელი რკინის ყრუ კარები, რომლებიც წინათ შემინული იყო და ხშირად ოთახებში სინათლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა.

ამგვარად, სოციალური პირობების ცვლილებამ ცხოვრების წესის ცვლილება გამოიწვია. ეს შეეხო ამ წესის სხვა ასპექტებსაც. ამ ქუჩებში უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ნაკლებად ისმის (ან საერთოდაც აღარ ისმის) ძველი თბილისის სულის ერთ-ერთი ნიშანი – მისი უბნებისათვის დამახასიათებელი შემახილები: „მაწონი, მაწონი“, „მაროქნი“, „სტარი ადიოჟ“ და სხვ. ქუჩის ეს დამტარებლებიც გაქრნენ, რადგან ირგვლივ გაჩნდა მაღაზიები, სადაც ამ ყველაფრის ყიდვაა შესაძლებელი.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როდესაც შემცირდა და თითქმის მთლიანად მოიშალა მონიტორინგის სისტემა; ასევე, აღარ მუშაობდა კანონები (რომლებსაც საბჭოთა პერიოდში ასე თუ ისე იცავდნენ), ძველ თბილისში დაიწყო უკანონო მინამენების აგება, თვითნებური გადაკეთება ინტერიერსა თუ ექსტერიერში. ამას ემატებოდა ისიც, რომ ნელ-ნელა ძველი სახლები ამორტიზებული ხდებოდა და ინგრეოდა. საქმე ისაა, რომ თავად საბჭოთა პერიოდში ძველი თბილისის უბნებს აახლებდნენ ხოლმე რომელიმე დღესასწაულისათვის, უფრო მეტად თბილისობისათვის, თუმცა ეს მხოლოდ ფასადური განახლება იყო და კონსერვაცია-რესტავრაციასთან არაფერი აკავშირებდა. არ იცვლებოდა კომუნიკაციები, ხშირად შენობების გამაგრებაც კი არ ხდებოდა და განახლება მხოლოდ სახლების ფასადების შეღებვით ან აივნების მიდგმით შემოიფარგლებოდა. შედეგად, სახლების მდგომარეობაც სულ უფრო მძიმდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ამგვარი დამოკიდებულება სულაც არ იყო გასაკვირი, რადგან ისინი ძველ თბილისს განიხილავდნენ როგორც წმინდად გარეგან ფენომენს, სოციალისტური დღესასწაულების, ტურიზმისა და ექსკურსიებისათვის განკუთვნილ ხელსაყრელ არქიტექტურულ „თეატრალიზებულ“ ფონს, დეკორაციას, მისი ინფრასტრუქტურის მძიმე მდგომარეობა კი მათი საზრუნავი არ იყო.²⁹

ამგვარად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დროთა განმავლობაში წარმოქმნილმა ახალმა პოლიტიკურმა თუ სოციალურმა პირობებმა თავისთავად შეცვალა ამ უბნებში ცხოვრების წესი, ტრადიცია და ეს ყოველივე მხოლოდ ადამიანთა მეხსიერებაში შემორჩა. ფაქტიურად არქიტექტურა, რომელიც ოდესღაც კარგად იყო მორგებული იმ ეპოქის ადამიანის მენტალობას, ახლა თანამედროვე საკუთარ ინდივიდუალიზმში ჩაკეტილი ადამიანისათვის ერთგვარ დაბრკოლებად, მოუხერხებელ ფორმად იქცა და ისიც ცდილობს საკუთარი საცხოვრებელი სივრცის იზოლირებას. (აქ არა მარტო საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ვგულისხმობთ). ამით აიხსნება მოსახლეობის მხრიდან ინტერიერების გადაკეთების, გეგმარების შეცვლის სურვილი.

ცხადია, უტოპიაა იმ ძველი „ადგილის სულის“ დაბრუნებაზე ფიქრი, ეს შეუძლებელია, რადგან ყველაფერი, რაც ცოცხალია, არ დგას ერთ ადგილას, იცვლება და

²⁹ ყიფიანი ნ. ქალაქი სარკე, *ილიაზდი 1.1, 2003*, გვ. 9–12.

ვითარდება. ალბათ, უპრიანი იქნება ვიფიქროთ, როგორ მოვახერხოთ ახალ პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ პირობებში მეხსიერების ამ ადგილის დაფიქსირება, მაქსიმალურად შენახვა და, ამავე დროს, ახალ პირობებთან შეთავსება ისე, რომ ეს სული სრულიად არ გაქრეს, არამედ განვითარდეს, რათა თუნდაც გარკვეულწილად იცვალოს სახე, ოღონდ შემოინახოს დვრიტა, არსი. ამისათვის თავად ძველი თბილისის ადგილის სული (Genius loci) უნდა იყოს გამოკვლეული, სრულყოფილად შესწავლილი, რის შედეგადაც უნდა დადგინდეს მისი მოწყვლადობის მიზეზები, სიცოცხლიუნარიანობის, ახალ პირობებთან ადაპტაციის, მისი უწყვეტობისა და განგრძობადობის შესაძლებლობები, რასაც უნდა მოსდევდეს პრაქტიკული რეკომენდაციები და რეალური ნაბიჯები სხვადასხვა სფეროში. ეს საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ ადგილის უწყვეტობა – *Stabilitas loci*,³⁰ ადგილის სულის – *Genius loci*–ის გადასარჩენად.

ჩარევის სტრატეგიებთან და მეთოდებთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

- *ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, წინასწარულ მონაცემებზე დაყრდნობით, სავალდებულო უნდა იყოს ე.წ. ძეგლის გახსნა; უნდა ჩატარდეს შურფირება და ზონდირება, რათა გამოვლინდეს უადრესი ფენები. ძეგლის გახსნისას მიღებული მონაცემების გათვალისწინება აუცილებელი უნდა იყოს რესტავრაციის სტრატეგიის შემუშავებისა და პროექტირებისას.*
- *არქიტექტორების, არქიტექტურის რესტავრატორების, კონსტრუქტორების მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს კვლევა. უპირველესად გამოკვლეული უნდა იყოს კონსტრუქციები, მათი მდგრადობა; შესწავლილი უნდა იყოს ამ კონსტრუქციებში გამოყენებული მასალები, შესაბამისი სპეციალისტების მიერ ჩატარდეს მათი ანალიზი (ქიმიური, ფიზიკური და სხვ.). შეიქმნას შესაბამისი დოკუმენტაცია.*
- *ამ კვლევის საფუძველზე უნდა მოხდეს კონკრეტული დაზიანებების გაანალიზება, მათი აღმოფხვრის გზების დასახვა და რესტავრაციის რელევანტური მეთოდის შერჩევა სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ჩართულობით.*
- *ყველა ეს კვლევა, შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით, გამოტანილ იქნას ფართო პროფესიული წრეების წინაშე განხილვისათვის (რაც არ მომხდარა ჩვენი უბნის რეკონსტრუქციის მეთოდით აღდგენილი სახლების შემთხვევაში)*

³⁰ ცნება „*Stabilitas loci*“ შუა საუკუნეების დასავლური მონასტიციზმის ერთ-ერთი ქვაკუთხედაა და ნიშნავს „ერთ ადგილას მყარად დამკვიდრებას/ცხოვრებას“ და ის წმ. ბენედიქტემ (VI ს) დაამკვიდრა. არქიტექტურაში ამ ცნების შემოტანა ნორვეგიელი არქიტექტორის კრისტიან ნორბერგ-შულცის (1926–2000) სახელს უკავშირდება, რომელიც არქიტექტურის ფილოსოფიისა და ფენომენოლოგიის საკითხებზე მუშაობდა და ეს ცნება - *Stabilitas loci* – ადგილის სულის უწყვეტობის აღსანიშნად გამოიყენა. იხ.: Norberg-Schulz Ch. *Genius Loci, Towards a Phenomenology of Architecture* Rizzoli, New York, 1980.

და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იქნას მიღებული გადაწყვეტილება რეკონსტრუქციის მეთოდის სასარგებლოდ.

იმისათვის, რომ რეკონსტრუქციის მეთოდის გარდაუვალად გამოყენება არ მოგვიხდეს, საჭიროა, სახელმწიფომ გაატაროს შემდეგი სახის ღონისძიებები:

- *შეიქმნას ძველი თბილისის ავარიულ ნაგებობათა რეესტრი, რომელშიც აღრიცხული და აღწერილი იქნება ძველი თბილისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებული ყველა სახლის ფიზიკური მდგომარეობა;*³¹
- *ძეგლების ფიზიკური მდგომარეობის აღწერის საფუძველზე განისაზღვროს რეესტრში შემავალი ავარიული სახლების კატეგორიები. მაგ., „ძლიერ დაზიანებული და რისკის ქვეშ მყოფი ძეგლების კატეგორია“, „ნაწილობრივ დაზიანებული ძეგლები, რომლებიც ექვემდებარება შეკეთებასა და გამაგრებას“ და ა.შ.*
- *თითოეული კატეგორიისათვის მოინიშნოს სარეაბილიტაციო ვადები, რომლის იქით ამ ნაგებობებს უკვე აღარც რესტავრაცია უშველის და ისინი ცალსახად დასანგრევი იქნება.*
- *ძეგლების მდგომარეობის მიხედვით შედგეს წლების მიხედვით გაწერილი სარესტავრაციო ძეგლების განრიგი, რათა იმ ძეგლებზე, რომელთა ფიზიკური მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება, დროულად წარიმართოს სარესტავრაციო სამუშაოები.*
- *ქალაქის ყოველწლიურ ბიუჯეტში მყარად იყოს გაწერილი (დაცული მუხლით) თბილისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო თანხა სარესტავრაციო ძეგლების რეესტრის განრიგის მიხედვით.*

სამშენებლო მასალებთან და კონსტრუქციებთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

შეიქმნას ძველი თბილისის ნაგებობების *სამშენებლო მასალების რეესტრი*, რისთვისაც უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- *შეიქმნას მეცნიერთა ჯგუფი, რომელშიც შევლენ მასალათმცოდნეები, რესტავრატორები, არქიტექტორები, ხელოვნებათმცოდნეები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები. შემორჩენილი ნაგებობების მაგალითზე მათ უნდა შეისწავლონ ის სამშენებლო მასალები, რომლებიც ძველი თბილისისათვის იყო დამახასიათებელი (აგური, გაჯი, კირი, თიხა, ხე, კრამიტი, ლითონი, მინა,*

³¹ პროგრამის – „100 ყველაზე დაზიანებული ღირსშესანიშნაობის ნუსხა“ – ფარგლებში არსებობდა „100 ყველაზე დაზიანებული ღირსშესანიშნაობის ნუსხა“, რომელშიც 1997–2002 წლებში ირიცხებოდა თბილისის ისტორიული ნაწილი. უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ეს ნუსხა შესაძლებელია ამგვარი რეესტრის საფუძველად იქცეს – გადაიხედოს, შეივსოს, განახლდეს. იხ.: თბილისი, კალა ბეთლემის უბნის რევიტალიზაცია, პროგრამის ანგარიში 2000–2010, თბ., 2011, გვ. 11.

საღებავები და სხვ.). ამ ჯგუფმა უნდა შეისწავლოს ყველა სახის მასალის ქიმიური და ფიზიკური თვისებები, შემადგენლობა, დამზადების ტექნოლოგია და შექმნას მათი რეესტრი.

- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ მასალების წარმოება. შესაძლოა ეს ამ ეტაპზე უტოპიად გამოიყურება, მაგრამ ნების არსებობის შემთხვევაში, ეს შესაძლებელია. თუ თავდაპირველად სახელმწიფო დააფინანსებს კერძო ორგანიზაციებს/მცირე საწარმოებს, რომლებიც შემდგომ თავად გააგრძელებენ არსებობას, რადგან ძველი თბილისის სახლების მუდმივი მონიტორინგისა და მოვლა-პატრონობის სისტემის აწყობის პრობებში, ამ მასალებს სისტემატურად ექნებათ გასავალი.
- ამავე პრინციპით უნდა შეიქმნას ძველი თბილისის ხასიათის განმსაზღვრელი კონსტრუქციული ელემენტების რეესტრი, რომლის შექმნაში მონაწილეობას მიიღებენ ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორები, კონსტრუქტორები, რესტავრატორები.

სახლების მხატვრული სახის შენარჩუნებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

საცხოვრებელი სახლების მხატვრული სახის შენარჩუნებაში, მასალებთან ერთად, მრავალი კომპონენტი მონაწილეობს. საჭიროა ამ კომპონენტების დადგენა, მათთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და ერთ დოკუმენტად გაერთიანება.

რეკომენდაციები ამ კომპონენტებთან დაკავშირებით სამ ჯგუფად შეიძლება გაიყოს. რეკომენდაციების პირველი ჯგუფი უნდა შეეხოს ფორმებს, მეორე ჯგუფი – ფორმებს შორის კავშირებს, ფორმების ერთობლიობას, ხოლო მესამე – სისტემებს (მაგ., წყალგაყვანილობის, გათბობის, ელექტროობის და სხვ.).³²

- შეიქმნას დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ნაგებობის მხატვრული სახის განმსაზღვრელი კომპონენტების ჩამონათვალს და თითოეული კომპონენტისათვის გაიწეროს რეკომენდაციები.
- ამისათვის შეიქმნას მეცნიერთა, მკვლევართა ჯგუფი, რომელიც დაადგენს ნაგებობის მხატვრული სახის განმსაზღვრელი კომპონენტების ჩამონათვალს და თითოეული მათგანისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

მდებარეობასა და გარემოსთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

უნდა შეიქმნას სტანდარტი. უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს სტანდარტის ის კომპონენტები, რომლებიც მკაფიოდ მოექცევა რეგულირების ფარგლებში. მაგ., მასშტაბი, სართულიანობა, მოცულობები, ფორმები, ფასადების აგება,

³² ეს უკანასკნელი შევიყვანეთ მხატვრული სახის განმსაზღვრელ კომპონენტებში, რადგან ჩვენს საკვლევ უბანში რამდენიმე სახლის შემთხვევაში საკანალიზაციო სისტემისა თუ განათების ელემენტები ისეთ ადგილებზეა განთავსებული რესტავრაციის შემდეგ, რომ აშკარად არღვევს სახლების მხატვრულ სახეს.

ცალკეული არქიტექტურული ელემენტები, მათი ფორმები, ზომები, შემკულობის ელემენტები და სხვ. მთავარი და პრინციპული საკითხი ამ შემთხვევაში იქნება სტრატეგიის განსაზღვრა: რა ტიპის ნაგებობებით უნდა შეივსოს ე.წ. ცარიელი ადგილები? ³³ საჭიროა მსოფლიო პრაქტიკაში არსებული სხვადასხვა ტიპის მიდგომის გაანალიზება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ასე იქნება თუ ისე, ყველა შემთხვევაში სტანდარტების და რეკომენდაციების მიღება აუცილებელია.

- *თბილისის ძველ უბნებში ე.წ. ღია ადგილებზე (დანგრეული სახლების ადგილას) ახალი ნაგებობების აშენების შემთხვევებისათვის პროფესიონალთა მიერ უნდა განისაზღვროს მიდგომა/მიდგომები და ამის შესაბამისად მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება.*

გამწვანების საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

- *შეიქმნას პროფესიონალთა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ძველი თბილისის მწვანე საფარს, გაარკვევს რომელი მცენარეები და ხეები იყო ამ უბნებისათვის ისტორიულად დამახასიათებელი.*
- *ამ კვლევის საფუძველზე ჯგუფი შეიმუშავებს გამწვანების სტანდარტებს და რესტავრაციის შემდგომ მწვანე საფარის მოვლის რეკომენდაციებს.*

ადგილობრივი თემის ჩართულობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

ჩვენ მიერ ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები. გამოკითხვის შედეგად ღმოჩნდა, რომ მოსახლეობა ნაკლებად იყო ინფორმირებული მათი საცხოვრებლის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის შესახებ. ასევე, მათ არ იცოდნენ ან არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ თუ რომელი ორგანიზაციებისათვის უნდა მიემართათ საყოფაცხოვრებო პრობლემების შექმნის ან საკუთარ ბინაში რაიმეს გადაკეთების სურვილის შემთხვევაში. არ იყვნენ აქტიურად ჩართულნი სარეაბილიტაციო პროექტის შემუშავების პროცესში, რამაც თავად რესტავრაციის დროს თავდაპირველ პროექტში სხვადასხვა სახის ცვლილებები

³³ მსოფლიო პრაქტიკაში რამდენიმე მიდგომა არსებობს. მაგ., ლონდონში მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაბომბვების შედეგად დანგრეული შენობების ადგილას ძველ უბნებში თანამედროვე სახლები ააგეს, თუმცა მათი მოკრძალებული, სადა ფორმები, შესაბამისი მასშტაბის დაცვასთან ერთად, კარგად „ჩაჯდა“ ძველი უბნის ქსოვილში და არ დაარღვია მათი მხატვრული სახე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვარშავის რეკონსტრუქციის შემთხვევაში კი ზოგიერთი მიწასთან გასწორებული სახლი მთლიანად თავდაპირველი სახით ააშენეს (ცხადია, დოკუმენტებზე დაყრდნობით და სიზუსტის დაცვით). ზოგიერთ ევროპულ ქალაქში კი ისტორიული ღირებულების მქონე სახლების გვერდით ხაზგასმით თანამედროვე ფორმების მქონე შენობებია ჩადგმული, რომლებიც თავისი თანამედროვე ფორმებითა და მასალებით მკვეთრ კონტრასტს ქმნის და ამით ხაზს უსვამს დროითსა და სტილურ სხვაობას.

გამოიწვია. არ ჩატარებულა ახსნა-განმარტებითი სამუშაოები ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოზინადრეთა მოთხოვნები იწვევდა ძველის ავთენტურობის რღვევას, ან რაიმე სხვა (მაგ., ტექნიკური) მიზეზით შეუძლებელი იყო მათი გათვალისწინება.

- იმისათვის, რომ ყველა მოზინადრე ინფორმირებული იყოს საკუთარი სახლის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის შესახებ, მერიამ შეიმუშაოს ამ სტატუსის აღმნიშვნელი გარკვეული პირობითი ნიშანი, რომელსაც მისამართის აბრაზე მოათავსებს (შესაძლებელია, კონკურსის წესით ამ ნიშნის მიღება), რის შედეგადაც არა მარტო მოზინადრეებს, არამედ ნებისმიერ მოქალაქეს ექნება ინფორმაცია ნაგებობის სტატუსის შესახებ.
- მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, სასურველია, რომ სახელმწიფომ, ამ შემთხვევაში მერიამ, გარკვეული პერიოდულობით გამოსცეს საინფორმაციო ბროშურები ან ფლაერები, რომლებშიც შეტანილი იქნება ინფორმაცია, თუ ვის უნდა მიმართონ მოზინადრეებმა სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო პრობლემების წამოჭრის ან ბინაში რაიმეს გადაკეთების სურვილის შემთხვევაში. ეს ბეჭდური პროდუქცია დროდადრო უნდა დაურიგდეს ძველი ქალაქის მოსახლეობას. შესაძლებელია, საინფორმაციო პოსტერების გამოყენებაც ამ მიზნით.
- აუცილებელია მოზინადრეებთან მჭიდრო კომუნიკაციის დამყარება პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე და ამით თანამონაწილეობის პრინციპის დაფუძნება, რაც გამჭვირვალეს გახდის ნებისმიერ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ამისათვის სახელმწიფომ სხვა ქვეყნების გამოცდილებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მენტალობის გათვალისწინებით უნდა შეიმუშაოს მათთან ურთიერთობის ფორმები: ახსნა-განმარტებითი შეხვედრები, საინფორმაციო ცენტრის შექმნა, მოსახლეთა კავშირის დაფუძნება და სხვ.³⁴

ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები:

თემაზე მუშაობის პროცესში ჩვენ ღია სივრცეში ვერსად ვიპოვეთ ამ უბნის რესტავრაციის დოკუმენტაცია. ამდენად, აუცილებლად ჩავთვალეთ, ამ საკითხთან დაკავშირებითაც რამდენიმე ზოგადი ხასიათის რეკომენდაციის ნაშრომში შეტანა:

- რესტავრაციის პროცესის ყველა ეტაპზე უნდა შედგეს დეტალური ხასიათის დოკუმენტაცია, რომელიც უნდა იყოს საჯარო;
- წინასწარ უნდა გამოქვეყნდეს დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს ძველის შეფასების პროცედურებს და მათ შედეგებს და გამოტანილ იქნას საჯარო +88განხილვაზე;
- ყოველი კონკრეტული ძველის რეაბილიტაციის შემდეგ გამოქვეყნდეს სრულყოფილი დოკუმენტაცია;

³⁴ ამ თვალსაზრისით ჩვენ უკვე გვაქვს ძალზე ქმედითი გამოცდილება ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის პროექტის განხორციელებისას. იხ.: თბილისი, კალა ბეთლემის უბნის რევიტალიზაცია, პროგრამის ანგარიში, 2000–2010. თბ., 2011, გვ. 33–34.

- შეიქმნას ღია ელექტრონული არქივი, რომელზეც სავალდებულო იქნება ყველა რესტავრირებული ძეგლის რესტავრაციამდელი, რესტავრაციის პროცესის და რესტავრაციის შემდგომი დოკუმენტაციის ატვირთვა.³⁵

2001 წელს UNESCO–ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა აღიარა თბილისის გამორჩეული ღირებულება, მაგრამ ამის მიუხედავად, ძველი თბილისის შეტანა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში არ მომხდარა. კომიტეტმა მოგვცა რეკომენდაციები, რომ შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო გარემო, მართვის სტრუქტურა და ცვლილებებზე კონტროლის აუცილებელი სახელმძღვანელო პრინციპები.³⁶ ამდენად, თბილისის ურბანული საცხოვრებლის რეაბილიტაციის პრინციპების ჩამოყალიბება საშური საქმეა.

იმედი გვაქვს, ჩვენ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ამ დოკუმენტის შექმნაში მცირე წვლილს მაინც შეიტანს.

³⁵ ICOMOS-ის ღია არქივი.

<https://openarchive.icomos.org/id/eprint/2857/>

³⁶ თბილისი, კალა ბეთლემის უბნის რევიტალიზაცია, პროგრამის ანგარიში 2000–2010, თბ., 2011, გვ. 27.